სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

შპს „გორდას“ ბათუმის კერძო მრავალპროფილიანი საერო
ელიტარული საშუალო სკოლა

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი 27 იანვარი, 2012 წელი

პრეამბულა

საქართველოში უმაღლესი განათლებისა და ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპების განხორციელების მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და შპს „გორდას“ ბათუმის კერძო მრავალპროფილიანი საერო ელიტარული საშუალო სკოლა თანხმდებიან თანამშრომლობაზე შემოქმედებით, სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო-აკადემიურ საკითხებში.

ურთიერთთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- შემოქმედებითი, სამეცნიერო კვლევისა და აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- სასწავლო-შემოქმედებითი ბაზების ერთიანი ქსელის შექმნას;
- საშემსრულებლო და თეორიული მიმართულების სპეციალისტთა მიერ კონსულტაციების, მასტერკლასებისა და სხვა სასწავლო შემოქმედებითი მუშაობის ჩატარებას.

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას კვლევისა და განათლებისათვის აუცილებელი რესურსების მოზიდვისა და სასწავლო-შემოქმედებითი სამუშაოების დაგეგმვისათვის ორმხრივი ინტერესების შესაბამისად.
1.2. თითოეული მხარის მნიშვნელოვან მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს პროფესორები, მასწავლებლები და სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-შემოქმედებითი პროექტებში ჩართული სტუდენტები და მოსწავლეები გამოიყენებენ უსასყიდლოდ.
1.3. მხარეები გაუწევენ ერთმანეთს კონსულტაციებს, განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო-შემოქმედებით პროექტებს.
1.4. მხარეები მონაწილეობას მიიღებენ ერთობლივი პროექტების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და სხვა.)
1.5. განახორციელებენ ერთობლივ სამეცნიერო სემინარებს, კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, ფესტივალებს, ,გამოფენებს, საკონცერტო წარმოდგენებსა და სხვა პროექტებს.
1.6. უზრუნველყოფენ ბიბლიოთეკებით სარგებლობის ხელმისაწვდომობას.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირდება ორმხრივი შეთანხმებით.
2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობას.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკების გზით.
3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.
3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირები გადაეცემა მხარეებს.

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი: ერმილე მესხია

შპს „გორდას“ ბათუმის კერძო
მრავალპროფილიანი საერო
ელიტარული საშუალო სკოლის დირექტორი,
ფილოლოგიის დოქტორი: ნინო მურვანიძე